

ოქმი N2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2020 წელი, 5 თებერვალი
ქ. ოზურგეთი
11.00 საათი -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, დ.მჟავანაძე, შ.გოგიბერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, ვ.ბერიძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, ვ.ნიჭარაძე, ვ.ჩხაიძე, ბ.თოიძე, ალ.დლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის

კ.შარაშენიძის წერილი, რომელშიც იგი ითხოვდა სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული N2 საკითხის განხილვიდან მოხსნას. საკრებულოს წევრებმა კენჭისყრით ამოიღეს დღის წესრიგიდან ეს საკითხი. ამ ცვლილებით, 34-ხმით დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

4.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალექო მამეშვილი, გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთში, გურიის ქუჩაზე (აგრარული ბაზრის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობის (ს/კ 26.26.48.038) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალექო მამეშვილი, გოჩა კილაძე

მოიხსნა განხილვიდან ღია კენჭისყრით, მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე.

5.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალექო მამეშვილი, გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31-ხმით

ამ საკითხის განხილვისას მსჯელობა გაიმართა საიჯარო ქირის ოდენობის გამო, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, ლ.ბიგვაჟამ, განაცხადა, რომ საიჯარო ფასები უნდა განისაზღვრებოდეს საბაზრო ღირებულების მიხედვით, 336 ბოდის გამოყენებისათვის წლიური 672 ლარი საჯარო გადასახადი მცირეა, უნდა გაიზარდოს. ამასთან, ბიუროს სხომაზე გამოითქვა აზრი, რომ იჯარა გაფორმდეს არა 10, არამედ 3-წლის ვადით. მისი აზრით კომპანია წარმატებულია და შეძლებს მეტის გადახდას.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ განაცხადა, რომ იჯარის ქირა მცირეა, კომპანია წარმატებულია, გამოთქვა აზრი გაგრძელებულიყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

საკრებულოს წევრმა ვ.ჩიგოგიძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიეღოთ

წარმოდგენილი სახით და დაემატებინათ მუხლი-აუცილებლად გადახედულიყო ტარიფები როგორც კომპანია მაგთიკომის, ასევე ეარნეტისათვის.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ.მჭავანაძემ განაცხადა, რომ აუდიტის დასკვნაზე დაყრდნობა არაა ზოგჯერ გამართლებული, საკითხი დამატებით უნდა იქნეს შესწავლილი და ორთავე კომპანიას უნდა დაუწესდეს ერთნაირი საიჯარო ქირა.

საკრებულოს წევრმა ხ.ცერცვაძემ განაცხადა, რომ ეარნეტი ადგილობრივი კომპანიაა, ეწვეა ქველმოქმედებას და მხარი უნდა დაეჭიროს.

საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარემ ლ.მგელაძემ განაცხადა, რომ მან მოიკითხა სხვა მუნიციპალიტეტებში მსგავსი იჯარის ქირა და აღმოჩნდა, რომ ოზურგეთს მაგთიკომი უხდის ყველაზე დიდს, ამიტომ უკეთესია მუნიციპალიტეტმა აქცენტი გააკეთოს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაზე და ეარნეტსაც გაუფორმოს მსგავსი ხელშეკრულება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ საკრებულო ხალხის მიერაა არჩეული და უნდა დაიცვას მოსახლეობის ინტერესები, ამასთან ფასი უნდა განსაზღვროს არა კომპანიამ, არამედ მუნიციპალიტეტმა. იკვეთება, რომ საკითხი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არასრულყოფილად არის შესწავლილი და შეასბამისად შეთანხმებული, ამიტომ მომავალში საკრებულო აღარ იმსჯელებს არასრულყოფილად მომზადებულ საკითხებზე.

გამოითქვა აზრი, რომ ხელშეკრულებაში დაემატოს ორი წლის მანძილზე საიჯარო ქირის გადახედვის საკითხი. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ლ.თავაძემ განმარტა, რომ ასეთი ჩანაწერი კეთდება ყველა საიჯარო ხელშეკრულებაში.

ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ განაცხადა, რომ არსებული ხელისუფლება გამოირჩევა მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ინიციატივით და მხარი უნდა დაეჭიროს ადგილობრივ კომპანიას, არ უნდა იყოს არათანაბარ მდგომარეობაში. საკრებულოს წევრმა ლ.ნინიძემ მხარი დაუჭირა საიჯარო ქირის ორთავე კომპანიისთვის გაზრდას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ გამოიკვეთა სამი მოსაზრება: 1) მხარი დაეჭიროს წარმოდგენილ პროექტს. 2) საიჯარო ხელშეკრულება დაიდოს 3-წლით. 3) საკითხზე გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოება. მესამე წინადადებაზე მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ლ.თავაძემ განმარტა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია გადაწყვეტილების მიღების ვადა-ერთი თვე.

ამის შემდეგ, 12.00 საათზე- უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარის ტ.აროშიძის წინადადებით გამოცხადდა 10-წუთიანი შესვენება.

სხდომა გაგრძელდა 12.20 საათზე, შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 31-მა საკრებულოს წევრმა.

უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ საკრებულოს გააცნო უმრავლესობის გადაწყვეტილება: იჯარის ქირა და ვადა დარჩეს როგორცაა წარმოდგენილი, ამასთან ხელშეკრულებაში ჩაიწეროს 2 წლის პერიოდში ტარიფის აუცილებლად გადახედვის თაობაზე, ამ წინადადებას საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ

გ.ღურჯუმელიძემ მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს ლ.თავაძეს სთხოვა ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი შეეთანხმებინათ საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციებისათვის.

6.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31-ხმით

ამ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისაზღვრა მიმდინარე წლის 14-თებერვალი, ამასთან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ საკითხი განიხილება და მტკიცდება ყოველ წელს თებერვლის თვეში და წელს დამტკიცდება რიგგარეშე სხდომაზე თებერვალში.

საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ საკრებულოს წევრმა მ.ზოიძემ შეკითხვა დაუსვა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს ლ.თავაძეს -რატომ არ უშვებს ხაზინა ინდემწარმე-პატარა აფთიაქებზე სოციალური პაკეტებით განსაზღვრული წამლების შესაძენად თანხების გადარიცხვას, მით უმეტეს როცა აქ მათი ღირებულება უფრო დაბალია ვიდრე ქსელურ აფთიაქებში. განუმრტეს, რომ ამ შეკითხვაზე უფრო კომპეტენტური მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურია, საკრებულოს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მერიამ მოამზადოს ამ შეკითხვაზე კომპეტენტური პასუხი და მსჯელობა გაიმართოს საკრებულოს შესაბამისი მუდმივმოქმედი კომისიის (ლ.საჯაია) სხდომაზე.

7.5. არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი-ქორფსი“-ს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31-ხმით

ამ საკითხის განხილვისას გამოითქვა აზრი რომ ე.წ. „ქალთა ოთახს“ შეეცვალოს სახელი (ლ.ბიგვავა), ამასთან დაყენებული იქნა წინადადება მას ეწოდოს „გენდერული თანასწორობის ოთახი“ (გ.ღურჯუმელიძე).

8.6. „საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლელა საჯაია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31-ხმით

ამ საკითხის განხილვისას თანამომხსენებელმა ლ.საჯაიამ ხაზი გაუსვა 2019 წლის გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე, რომლის განხორციელებაც საბჭომ

ვერ მოახერხა.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გ.ღურჯმელიძემ, გააკეთა განცხადება ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის პრემიერის თაობაზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო